ნინი ჭელიძე

ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი, თურქეთი

სკოლის პერიოდიდან მოყოლებული, გულწრფელად მჯეროდა, რომ სტუდენტობისას აუცილებლად შევძლებდი გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ წასვლას. ამ რწმენამ და კავკასიის უნივერსიტეტის ხელშეწყობამ მომცა შესაძლებლობა, 5 თვე განსხვავებულ გარემოში, სხვა ქალაქსა და კამპუსში გამეტარებინა.

ეს გამოცდილება უმნიშვნელოვანესი იყო ჩემი პიროვნული ზრდისთვის. გავხდი უფრო დამოუკიდებელი, ვიდრე აქამდე ვიყავი, და შევძელი უცხო გარემოსთან ადაპტაციის შიშის დაძლევა. რაც მთავარია, გავეცანი ახალ საგანმანათლებლო პროგრამებსა და საერთაშორისო კვალიფიკაციის მქონე არაერთ ლექტორს, რომლებმაც ჩემი ინტერესები კიდევ უფრო განამტკიცეს. ბოლოს კი შევიძინე მეგობრები, რომლებმაც დიდი ადგილი დაიკავეს ჩემს გულში.

კამპუსში სხვა უცხოელ სტუდენტებთან ერთად ცხოვრება ოჯახურ შეკრებებს ჰგავდა, სადაც თავს მარტოდ ვერასდროს იგრძნობდი. ეს ურთიერთობები კი უცხო გარემოში ყოფნისას განცდილ გაუცხოებას აქარწყლებდა.

გაცვლითმა პროგრამამ დამანახა, რომ საზღვრები, რომლებიც საკუთარ შესაძლებლობებსა და ოცნებებს შორის გვხვდება, ხშირად მხოლოდ ჩვენი შიშებით არის შექმნილი. ამ გამოცდილებამ მომცა თავდაჯერებულობა, გამეცნო საკუთარი თავი უკეთ, დამენახა ახალი შესაძლებლობები და უფრო მკაფიოდ ჩამომეყალიბებინა ჩემი სამომავლო მიზნები.

კავკასიის უნივერსიტეტი ყველა მოტივირებულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, თავად შეიძინოს ეს გამოცდილება, გადალახოს საკუთარი საზღვრები და აღმოაჩინოს სამყარო, რომელიც მის შესაძლებლობებზე ბევრად დიდია.